ხელშეკრულება №36
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „21" თებერვალი 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY" წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ჭაღალიძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქ. ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქN60-ში მდებარე 30-ე საბავშვო ბაღის სამზარეულოს საკანალიზაციო სამუშაოების** (CPV -- 45232460) შესყიდვა (შემდგომში - „სამუშაო");

1.2 სამუშაოთა დასახელება, მოცულობა, ერთეულისა და საერთო ფასები განისაზღვრება ლ/რ ხარჯთაღრიცხვა N1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **699,33 (ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი და 33)** ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები:

3.1 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

3.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო; ვალუტა - ლარი;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების სრულად შესრულების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4. მიღება-ჩაბარების წესი:

4.1. სამუშაოს მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება, მიმწოდებლის მიერ ხლშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. სამუშაოს შესრულების ვადა, ადგილი და ფორმა:

5.1 სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;

5.2 სამუშაოები უნდა განხორციელდეს სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, შესაბამისად მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა განახორციელოს შაბათს, კვირას და სხვა უქმე და არასამუშაო დღეებშიც.

6. გარანტია - დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:

6.1 შესრულებულ სამუშაოებზე, მოწყობილობებსა და მასალებზე საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 თვეს.

7. ნორმატიული დოკუმენტები:

7.1 სამუშაოს განხორციელების პროცესში შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.1.2 სამუშაოს შესრულების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2.2 უზრუნველყოს სამუშაოს ჩაბარება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.4.2 უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

9.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი - ჯაბა ცხადაძე;

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

11.1 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

11.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების საერთოდ შეუსრულებლობის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა:

13.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

13.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

13.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

14. დავების გადაწყვეტა:

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. დაუძლეველი ძალა:

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

15.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ

გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

15.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. სხვა პირობები:

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 21 თებერვლიდან - 2018 წლის 31 მარტამდე;

21. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მამუკა შამილიშვილი

მიმწოდებლი:

შპს „შპს იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY“

იურ. მის: შუახევის რ-ნი, ს. ინწკირვეთი
ფაქტ. მის: ხელვაჩაურის რ-ნი, ს. კაპრეშუმი
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 427 734
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE86BG 0000 0009 9768 8300

რევაზ ჭაღალიძე

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა N1

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის II ჩიხში მდებარე
32-ე საბავშვო ბაღის გამწოვის მონტაჟი

N	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	კედლის გამოტეხვა	კბ/მ	2,2	40,00	88,00
2	იატაკიდან კაფელის ამოყვრა ტრაპის მილების გასაყვანათ	კვ/მ	1,3	5	6,50
3	დ100მმ მილების მოსაწყობად გრუნტის მოთხრა	კბ/მ	0,9	78,00	70,20
4	პლასტმასის საკანალიზაციო მილების მონტაჟი დ-70მმ	მეტრი	4,5	11,20	50,40
5	პლასტმასის საკანალიზაციო მილების მონტაჟი დ-100მმ (გარე ქსელში)	მეტრი	2	22,00	44,00
6	მილის ჭაზე დაერთება	ც	1	25,00	25,00
7	გრუნტის ჩაყრა ხელით	კბ/მ	0,9	65,00	58,50
8	ნიკელის ტრაპის მონტაჟი	ცალი	1	15,00	15,00
9	ქვიშა ცემენტით ბეტონის დასხმა	კბ/მ	0,25	110	27,50
10	იატაკებზე ხაოიანი მეთლახის ფილების დაგება წებო-ცემენტზე	კვ/მ	1,5	25	37,50
11	წყალსადენის ქსელის ჰიდრავლიკური გამოცდა	ლარი			55,00
12	სამშენებლო ნაგავის გატანა 5 კმ მანძილზე	ლარი			60,00
	პირდაპირი დანახარჯების ჯამი				537,60
	ზედნადები ხარჯები			6%	32,256
	პირდაპირი დანახარჯების ჯამი+ზედნადები ხარჯები				569,86
	გაგმიური დაგროვება			4%	22,79
	პირდაპირი დანახარჯების ჯამი+ზედნადები ხარჯები + გაგმიური დაგროვება				592,65
	დღგ			18%	106,68
	სულ სახარჯთაღიცხვო ღირებულება				699,33

445393510

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ქ. ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქN60-ში მდებარე 30-ე საბავშვო ბაღის სამზარეულოს საკანალიზაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით შპს „იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY“-სთან 2018 წლის 21 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N36 ხელშეკრულების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის პროცედურებში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი ---------- ჯაბა ცხადაძე